EARTH
Every Action Restores The Harmony

Co-funded by the European Union

EARTH პროექტი – მე-2 საინფორმაციო ბიულეტენი

მოსმენა. დაგეგმვა. მოქმედება.

რეალური ცვლილებები არა მშრალი გადაწყვეტილებებით, არამედ სხვების მოსმენით იწყება.

ბოლო თვეების განმავლობაში პროექტმა EARTH (Every Action Restores The Harmony) მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა- ჩვენ უშუალო კავშირი დავამყარეთ უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ახალგაზრდულ და გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან.

ეროვნული ონლაინ-სემინარების ფარგლებში, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარეს. მათ ისაუბრეს იმ გამოწვევებზე, ამბიციებსა და ბარიერებზე, რომლებიც ხელს უშლით საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში.

სურათი ნათელია:

ახალგაზრდული ორგანიზაციები სავსენი არიან მოტივაციითა და ენერგიით. მათ სურთ, თავად გახდნენ გარემოსდაცვითი ცვლილებების წინამძღოლები,

თუმცა ისინი ხშირად აწყდებიან შემდეგ გამოწვევებს:

- ფინანსური არასტაბილურობა
- მდგრად დაფინანსებაზე შეზღუდული წვდომა
- რთული ადმინისტრაციული და საანგარიშგებო პროცესები
- მონიტორინგისა და შეფასების სუსტი სისტემები
- ახალგაზრდების ჩართულობისა და კომუნიკაციის სირთულეები
- მენტორინგის სტრუქტურირებული ინსტრუმენტების ნაკლებობა

ძირითადი მესიჯი არ იყო: „ჩვენ გვჭირდება თეორია“.
მათი მთავარი გზავნილი იყო არა თეორიული ცოდნის მიღება, არამედ ისეთი პრაქტიკული ინსტრუმენტების ფლობა, რომლებიც რეალურად მუშაობს.

მოსმენიდან დაგეგმვამდე

2026 წლის 25–26 თებერვალს 11 ექსპერტი და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ონლაინ შეიკრიბნენ, რათა ეს იდეები რეალურ ქმედებებად ექციათ. შედეგი?

საფუძველი ჩაეყარა შესაძლებლობების გაძლიერების სტრუქტურირებულ პროგრამას, რომელიც სპეციალურად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის შეიქმნა.

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only, and do not necessarily reflect those of the European Union or European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

EARTH
Every Action Restores The Harmony

Co-funded by the European Union

პროგრამა დაეხმარება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შემდეგი მიმართულებებით:

გარემოსდაცვითი და კლიმატის საკითხები
პროექტებისის დაგეგმვა, ბიუჯეტირება და შესაბამისობა
დაფინანსების მოძიება და ფინანსური მდგრადობა
სტრატეგიული კომუნიკაცია და ადვოკატირება
ახალგაზრდების ჩართულობა, მენტორინგი და პარტნიორობა

ტრენინგებთან ერთად იქმნება არასამთავრობო ორგანიზაციების თვითშეფასების სპეციალური ინსტრუმენტი, რომელიც ორგანიზაციებს დაეხმარება უკეთ დაინახონ საკუთარი ძლიერი მხარეები და განვითარების პოტენციალი, რადგან რეალური გავლენა სწორედ საკუთარი შესაძლებლობების გააზრებით იწყება.

ცოდნის ტრანსფორმაცია: სწავლება ყველასთვის

ჩვენი შემდეგი ნაბიჯი სასწავლო მასალების მოსახერხებელ ფორმატში გადატანაა. რესურსები ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი სახით:

- ვიდეო გაკვეთილები
- პრაქტიკული სახელმძღვანელოები
- ინფოგრაფიკები და მზა შაბლონები
- მრავალენოვანი ღია საგანმანათლებლო მასალები.

ყველა ეს რესურსი განთავსდება ციფრულ სასწავლო პლატფორმაზე, სადაც მონაწილეები შეძლებენ კურსების გავლას, ცოდნის შემოწმებასა და სერტიფიკატის მიღებას. ეს ნიშნავს მეტ ხელმისაწვდომობას, მდგრადობასა და გრძელვადიან განვითარებას.

დაგეგმვიდან მოქმედებამდე

2026 წლის მაისიდან პროგრამაში 60 ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი ჩაერთვება საქართველოდან, უკრაინიდან, მოლდოვიდან და აზერბაიჯანიდან. ადგილობრივი ექსპერტები ჩაატარებენ ტრენინგებს, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული ქვეყნის სპეციფიკურ კონტექსტზე.

გარდა ამისა, პოლონეთში დაგეგმილი საერთაშორისოშეხვედრა პარტნიორებს საშუალებას მისცემს, გააღრმავონ მენტორინგის გამოცდილება და გააძლიერონ თანამშრომლობა.
მიზანი მარტივი,თუმცა თუმცა ამბიციურია:

დავეხმაროთ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, რათა მათ შეძლონ მცირე პროექტებზე დამოკიდებულებიდან გარემოსდაცვით სფეროში სტრატეგიულ და მდგრად ლიდერობაზე გადასვლა.

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only, and do not necessarily reflect those of the European Union or European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი

აღმოსავლეთ პარტნიორობისრეგიონი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას- იქნება ეს გარემოსდაცვითი პრობლემები, ინსტიტუციური სისუსტე თუ ახალგაზრდების ჩართულობის შემცირების რისკები.

თუმცა, ამავე დროს, რეგიონს ასევე აქვს დიდი პოტენციალიც.

პროექტი EARTH ინვესტიციას სწორედ იმ ადამიანებში დებს, რომლებსაც ამ პოტენციალის რეალურ, გაზომვად შედეგებად ქცევა შეუძლიათ. ჩვენი მიზანი მხოლოდ სემინარების ჩატარება არ არის; ჩვენ ვქმნით ძლიერ ორგანიზაციებს, მყარ ქსელებსა და ახალგაზრდა ლიდერებს, რომლებიც მზად არიან მოქმედებისთვის.

Every Action Restores The Harmony.

#EARTHproject #ErasmusPlus #ახალგაზრდული_ლიდერობა #გარემოსდაცვითი_მოქმედება #შესაძლებლობების_გაძლიერება #აღმოსავლეთ_პარტნიორობა

EARTH
Every Action Restores The Harmony

HEKET FOUNDATION
La Salle Sector Andalucía
CAPPINNO CAPPADOCIA INNOVATION
KHARKIV IT CLUSTER
King Danylo UNIVERSITY
DIS VIITORUL www.viitorul.org
SOCIETY BRIDGE TO THE FUTURE

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only, and do not necessarily reflect those of the European Union or European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

Co-funded by the European Union